ოქმი:**ო37.37210971**

თარიღი:**07/04/2021**

**ოქმი #9**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს რიგგარეშე სხდომის**

2021წელი, 6 აპრილი

ქ. ოზურგეთი

$11^{00}$ – $12^{00}$ საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ.ღურჯუმელიძე, გ. ჩაგანავა, ლ. მგელაძე, ე. გორდელაძე, გ.კილაძე, ტ.არუშიძე, ლ.საჯაია, ბ.დოლიძე, გ.თოიძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 9, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

**დღის წესრიგი**

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: მარინა ჯაფარიძე**

**ლელა საჯაია**

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გ.ღურჯუმელიძის აზრით, წესში ცვლილებების შეტანის შესაბამისად ცვლილება უნდა შევიდეს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტშიც.

ბიუროს წევრმა ლ. საჯაიამ განაცხადა, რომ საკითხი განხილული უნდა იქნას საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების შეტანისას. ბიუროს წევრები შეთანხმდნენ, რომ ეს საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში და განხილულ იქნას მიმდინარე წლის 21 აპრილს ჩანიშნულ საკრებულოს სხდომაზე.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ლაშა თავაძე**

**ეროდი გორდელაძე**

შეტანილ იქნა საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით.

3. «ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში მეცნიერების ქუჩა N 16-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობების (ანასეული ს/კ 26.26.50.012. 2058.00კვ.მ.) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ავთანდილ ჩხაიძე**

**გოჩა კილაძე**

შეტანილ იქნა საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით.

4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში მერაბ კოსტავას ქუჩა N1 -ში (26.26.42.003.01/508) მდებარე 46,2 ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ავთანდილ ჩხაიძე**

**გოჩა კილაძე**

შეტანილ იქნა საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით. განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას (გ.კილაძე).

5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით შ.პ.ს. „სატისზე“ (ს/ნ 437066201) გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე**

შეტანილ იქნა საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით. განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას(გ.კილაძე).

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის „სოფელ ოზურგეთში სასმელი წყლისა და შიდა გზების მოწყობის შესახებ“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ბაჩუკი ონიანი**

ბიუროს გადაწყვეტილებით პეტიცია გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის მერიას(კ.შარაშენიძე) კანონმდებლობით განსაზღვრულ დროში რეაგირებისათვის. დაეწერა დარგობრივ კომისიას(ლ.ბიგვავა).

7. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე**

შეტანილ იქნა საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში. განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას(გ.კილაძე).

8. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ბ.ქათამაძის განცხადების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას(ე.გორდელაძე).

**გადაწყვიტეს:**

1. ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული N,2,3,4,5,7 - საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მიმდინარე წლის მომდევნო სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით. ამასთან N4,5,7 საკითხები განსახილველად დაეწეროს დარგობრივ კომისიას ( გ.კილაძე).

2. N1 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მიმდინარე წლის 21 აპრილს ჩანიშნული სხდომის დღის წესრიგში.

3.N6 საკითხი- პეტიცია გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას(კ.შარაშენიძე) კანონმდებლობით განსაზღვრულ დროში რეაგირებისათვის, დაეწეროს დარგობრივ კომისიას(ლ.ბიგვავა).

4,N8 საკითხი- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ბ.ქათამაძის განცხადება -განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას (ე.გორდელაძე).

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი